

„საქართველოს ენერგო სექტორის საინვესტიციო პოტენციალი“

მიმი ჩხენკელი
ანა ზავრაშვილი
თამარ მაჭარაშვილი
ჯგ. №2

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნეს სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე კუჭავა - ეკონომიკის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მიმი ჩხენკელი, მ. ჩხენკელი, 20.06.2016

ანა ზავრაშვილი, ა. ზავრაშვილი, 20.06.2016

თამარ მაჭარაშვილი, თ. მაჭარაშვილი, 20.06.2016

აბსტრაქტი

ენერგეტიკა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველი, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწორ ფუნქციონირებას, რადგან ელექტროენერგია წარმოების აბსოლუტურად ყველა დარგს სჭირდება. შესაბამისად, ენერგეტიკის მნიშვნელობა განუზომლად დიდია სახელმწიფოს არსებობისათვის.

საქართველოს არ გააჩნია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვანი მარაგები, რის გამოც ენერგორესურსების ექსპორტიორ ქვეყნებზეა დამოკიდებული. ამავ დროს, ქვეყანა წყლის რესურსებით მდიდარია. ამის ფონზე, სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუწყოს ჰიდროენერგეტიკის განვითარებას სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ელექტროენერგეტიკული რესურსების პოტენციალის შესწავლა. ნაშრომში შეფასებულია დარგში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობები; საქართველოს ენერგო სექტორის მიმზიდველობა ინვესტორებისათვის; ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში ელექტრო-ენერგიაზე საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ექსპორტის შესაძლებლობები.

კვლევის მიზნის მისაღწევად შევარგეთ და შევისწავლეთ ინტერნეტ რესურსებში არსებული მეორადი მონაცემები, ჩატარდა რამდენიმე ინტერვიუ, საინვესტიციო გარემოს ნაკლოვანებების გამოსაკვლევად გამოკითხული იქნა საინვესტიციო პროექტების განამხორციელებელი რამდენიმე კომპანია. ნაშრომში გამოყენებულია აქამდე ჩატარებული კვლევები და სამეცნიერო ნაშრომები. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა. აღნიშნული დაგვიხმარა გამოგვევლინა დარგის განვითარების შესაძლებლობები.

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკას აქვს განვითარების შესაძლებლობები და გააჩნია რიგი კონკურენტული უპირატესობა, რის გამოც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციებისათვის მიმზიდველად.

წინამდებარე ნაშრომი დაეხმარება პოტენციურ ინვესტორს შეაფასოს დარგის სუსტი და ძლიერი მხარეები.

Abstract

Energetics as basis of economical development of the country, ensures right functioning of the economy because all fields of domestic manufacturing necessitate energy supply. Thus, developed energetic system is of immense importance for any country.

Georgia does not have significant fuel-energetic resources and because of this it is depended on the countries who export energy resources. At the same time our country is rich with water resources. In accordance with this government tries to develop field of hydro-energy and make it attractive for investors .

The aim of this research is the evaluation of the potential of energy resources of Georgia. Exactly research is devoted to the estimation of investment opportunities, attractiveness of Georgian hydro-energy sector for investors, as well as to the assessment of possibilities of production of electric energy and opportunities for its export in case of investment.

To achieve research goal we have studied secondary data of internet resources, we have conducted several interviews, to investigate imperfections of investment environment we have sent questionnaires to several companies who make investment projects. In the research we have used information from conducted earlier researches presented in technical reports and scientific articles. During research necessary methods of qualitative as well as quantitative analysis have been used. This helped us to define opportunities of field development.

The research showed us that energy sector of Georgia is very competitive and can play a important role in the development of our country.

This research will help potential investor to estimate strength and weakness of energy sector.